

მაია კვიციანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტროპული მეტეოლოგია მეოცე საუკუნის 70-იანი წლების პოეზიაში

მეოცე საუკუნის 70-იანი წლები ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია. ეს ეტაპი დაკავშირებულია იმ თაობასთან, რომელმაც გარკვეულწილად განსაზღვრა თანამედროვე პოეზიის ძირითადი ხაზი, უპირველესად – პოეტური ფორმის თვალსაზრისით. ღია სტრუქტურა, ბესიკ ხარანაულის, მამუკა წიკლაურის, გივი გეგეჭკორის, იზა ორჯონიკიძისა და სხვათა შემოქმედება პოეტური თუ კრიტიკული ტექსტების სახით დღესაც გარკვეულად წარმართავს ლიტერატურულ პროცესს. კვლევა აქტუალურია იმ მიზეზითაც, რომ საკითხი ფართოა და სრულად არ არის შესწავლილი. შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდის გამოყენება მოგვცემს საშუალებას, საკითხი ახლებურად წარმოვაჩინოთ, რადგან მხოლოდ ცალკეული ავტორების შემოქმედების განხილვა ერთიანი სურათის აღსაქმელად მეტად რთულია. საინტერესოა საკითხის შესწავლა-გაანალიზება უშუალოდ ტექსტებზე დაყრდნობით, არა მხოლოდ ერთი პოეტის, არამედ ამ პერიოდის წარმომადგენელთა შემოქმედების ანალიზის გზით. კვლევის შედეგები კი საშუალებას მოგვცემს, ნათლად გამოვიკეთოს ის თავისებურებები, რაც 70-იანელთა თაობამ მოიტანა როგორც ტროპული მეტეოლოგიის, ისე მხატვრულის სახეების თვალსაზრისით.

ყველა ავტორი ინდივიდუალურად გადის გადაფასებისა და საკუთარი თავის ძიების გზას. 70-იანი წლები გამორჩეულია ამ გადაფასებათა მკვეთრი გამოხატულებით. კონვენციური ლექსიდან ვერლიბრის ნაკადის მომძლავრების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ეს შეიძლება დასახელდეს.

პოეტის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი სიტყვაზე მუშაობაა, მაღალმხატვრულ ტექსტში არცერთი სიტყვა არაა ზედმეტი, ასევე ორგანულადაა სიტყვები დაკავშირებული ერთმანეთთან. ტროპის წარმატება კი დამოკიდებულია მწერლის ხედვაზე, რამდენად შეუძლია ავტორს ახალი აზრი შესძინოს სიტყვას, გაამდიდროს სამყაროს აღქმის შესაძლებლობა და ეს მიიტანოს მკითხველამდე ისეთი სახით, რომ მისთვის ბუნებრივი და გასაგები აღმოჩნდეს. ტროპების მნიშვნელობა ფასდება მათი სიახლითა და იმით, რამდენად ზუსტი და ორგანულია ის მოცემულ პოეტურ თუ პროზაულ ნიმუშში.

ტროპული მეტყველება მეოცე საუკუნის 70-იანი წლების პოეზიაში

სიტყვა „ტროპი“ ბერძნული სიტყვაა და შენაცვლებას ნიშნავს. საინტერესოა, რა ნიშნით და სახეებით ხდება ჩანაცვლება და რამდენად ახალია ეს ჩანაცვლებები. სწორედ ტროპებში ვლინდება პოეტის მსოფლმხედველობა, სამყაროს აღქმა და ენასთან დამოკიდებულება. ვინც ენის ღრმა შრეებს და სამყაროს კარგად იცნობს, სწორედ მას შეუძლია „ზუსტი“ ჩანაცვლება. მოცემულ სტატიაში მოკლედ მიმოვიხილავთ 70-იანი წლების ავტორების პოეტურ ნიმუშებში მოცემულ ტროპებს, რაც საშუალებას მოგვცემს, გამოვკვეთოთ ავტორთა ენობრივი მახასიათებლები და დავაკვირდეთ განმასხვავებელ ასპექტებს.

ტროპის სახეობებს შორის უმთავრესია მეტაფორა, *„მეტაფორა გვიჩვენებს, რა მიმართებაშია პოეტი საგნებთან (ან მოვლენებთან) და ამის საშუალებით გვახედებს პოეტის შინაგან სამყაროში“* (პეტრიაშვილი 1973:96). მეტაფორა მნიშვნელოვანია იმიტაც, თუ რამდენად ახალია, რამდენად შეიძლება ენაში უკვე არსებული სიტყვებით სრულიად უჩვეულო აზრი გამოიხატოს.

ღია სტურუა 70-იანელთა თაობის წარმომადგენელია, მის შემოქმედებას წარმართავს სუბიექტური მე. ავტორი საკუთარ განცდებსა და ნააზრევს უჩვეულო სახით წარმოგიდენს. სამოცდაათიანი წლების პოეტური ნიმუშებიდან შეგვიძლია რამდენიმე მაგალითი მივიხმოთ: *„დაშაქრული თაფლივით შედედებული შუადღე/ ქუჩაში მიდის ქალი .../...ხოლო მის შიგნით/ როგორც კურკა შინდის მარცვალში/ ოქროსფერი ბიჭი ანთია“*. *„ავვისტოა ქალაქში“* (სტურუა 177:13) პოეტს სურს წარმოაჩინოს ადამიანის სევდა, მოცემული შედარებები ფეხბძიმე ქალისა და მისი ნაყოფის გამორჩეულობაზე მიუთითებს. ღია სტურუა ყველა სიტყვას არჩევს, მას მიაჩნია, რომ პოეტის მთავარი დანიშნულება საკუთარ ენის ღრმა შრეების წვდომაა, ის ფიქრობს, „გაცვეთილი“ სიტყვები ისე დაამეგობროს სხვებთან, რომ ახალი, ნათელი აზრი გაჩნდეს. ამ გზას ავტორი დღემდე მიჰყვება და მის ბოლო კრებულებშიც სიტყვა, როგორც მთავარი „პაროლი“, განსაკუთრებული ყურადღებითა და შერჩევით არის წარმოდგენილი. მოვიხმოთ შედარების მაგალითები 1977 წელს გამოცემული კრებულიდან: *„მოლოდინი ციდან მიწამდე სპირალივით დავარდნილი წვიმის სხეულის“* (სტურუა 10:1977) *„ფარშავანგვივით შეფერილი სახეები“* (სტურუა 27:1977) *„ლაზერივით ლურჯი და გამჭოლი ვიოლინის უმაღლესი ბგერა“* (სტურუა 28:1977) *„ფერგადასული მანქანებიდან/დამუხტული ღრუბელივით იღვრება ხალხი და წვიმად იქცევა“* (სტურუა 31:1977) *„მარავანდედის ეკლიანი წიაღიდან / ისეთი მკვეთრი, როგორც თეთრ თოვლზე / მზით გატენილი მანდარინი, / თავის ტკივილი მიახლოვდება“* (სტურუა 34:1977). კრებულიდან უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც შედარებათა უჩვეულობა მკითხველს იმ აქამდე შეუნიშვან კავშირზე დააფიქრებს, რომელიც პოეტმა მოცემული ტროპების სახით გადმოსცა. *„თანაგრძნობა, როგორც კვეთი/ წამლის შუშებში ადედებს დღეს,....“* / „...და ბავშვი -ზარი/ ჩვეულებრივი

მაია კვიციანი

დედის მუცლიდან ამოზრდილი ჭეშმარიტება./ დგას გამჭვირვალე წკრილა თოვლში./რომელიც ცაა“ (სტურუა 1977:12). ლექსი გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნას ეძღვნება, ლირიკული გმირი შედარებებით მოგონებებით გამოწვეულ სევდას გადმოსცემს. თუ მხატვრული სახეების დეკორირებას ვეცდებით, დავინახავთ, რომ ავტორი ბედნიერებისა და უბედურების შეპირისპირებით ახერხებს ასახოს ტკივილი, რომელიც იმდენად მძაფრია, რომ ყველასთვის გასაგები და საგრძნობი ხდება.

უჩვეულოა ღია სტურუას მეტაფორებიც, მისი შემოქმედება მთლიანად მეტაფორულია. მოვიხმოთ ნაწყვეტი ერთ-ერთი პოეტური ნიმუშიდან: „რა იოლია .../ბათქაშგადამსკდარი ოთხკუთხედი ციდან/ მზის ჩამოგდება./სისხლის და რწმენის ნაკუწებისგან შეკრული მზის./ რომელიც მერე ათას სხეულში განივთდება./ და ალიონზე/ ნერვებისა და კუნთებისაგან მოწნული ბავშვი/ ფორთოხლის ხეებს გამოაბამს/ პოეზიის დროშას იისფერს./ რომელსაც ჰქვია პაბლო ნერუდა“. (სტურუა 1977:19). ვიზიარებთ მაია სულაბერიძის მოსაზრებას: „მეტაფორა ღია სტურუას პოეზიის საფუძველია. მისი შემოქმედება -ეს არის მეტაფორული აზროვნების მწვერვალი. პოეტს მეტაფორა აძლევს საშუალებას, განაკერძოს აზრისთვის ძნელად მისაწვდომი ობიექტი და მას თვითმყოფადობა მიანიჭოს“ (სულაბერიძე 1996:144). ღია სტურუას მეტაფორული მეტყველების უჩვეულობა აშკარაა, პოეტი თავისი ხელწერით სრულიად გამორჩეულ მხატვრულ სახეებს ქმნის, რომლის მთავარი წარმმართველი ხაზი პოეტის სუბიექტური განცდებია.

70-იანი წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ბესიკ ხარანაული. მის პოეზიაში ასახულია სიმართლე, რომელიც ყოფითი მეტყველებითა და რეალური სახე-სიმბოლოებითაა წარმოდგენილი. საინტერესოა ბესიკ ხარანაულის პოეტური მეტყველება და მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, პოეტმა ლიტერატურაში ყოფითი სასაუბრო სტილი შემოიტანა. „მიუხედავად იმისა, რომ ბ. ხარანაულის პოეზია უწყვეტობის, ერთი მთლიანი არსობის განცდას ქმნის, თემატურად ის მრავალფეროვანია – დედის სუნთქვის შეგრძნებიდან დაწყებული იმქვეყნიური ყოფის გააზრებამდე – ზოგადი და კონკრეტული, სუბიექტური და სასხვი-სო, ძალზე სერიოზულიც და ირონიით გაიოლებულიც“ (ცხადაია 2006: 136)

ბესიკ ხარანაულის შემოქმედება ღრმად ფილოსოფიურია, შეიძლება ითქვას, ერთი მრავლისდამტვევი მეტაფორაა არსებობის საზრისის შესახებ. პოეტის მსოფლმხედველობა 1973 წელს გამოცემულ პოემაში „ხეობარი თოჯინა“ ძალიან მკაფიოდ არის წარმოდგენილი. ტექსტი მთლიანად მეტაფორულია, ლირიკული გმირი ცდილობს აწონ-დაწონოს თავისი განვლილი თუ განსავლელი ცხოვრება, ის სვამს უამრავ შეკითხვას, საკუთარი გამოცდილებით, სამყაროსა და ადამიანებზე დაკვირვებით ცდილობს სავარაუდო პასუხის დაძებნას. მხატვრული სახეები – შედარებები და მეტაფორები ხშირია ტექსტში, საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ნაწყვეტებს პოემიდან :

ტროპული მეტყველება მეოცე საუკუნის 70-იანი წლების პოეზიაში

„სანამ ნახტომისაგან ირხევა ტოტი,
ღამე ცერად აცილებს ლტოლვილს-
წაუვიდა ბადეს კალმახი... (ხარანაული
37:1991).

საგნები მაღაყს გადადიან
გაღვიძებულია თვალთა გუბებში -
გუბის დანახვით
ფრთაშესხმული ბაყაყებივით..... (ხარანაუ-
ლი 38:1991).

რა გვეკუთვნის ჩვენ ?
იქნებ ეს წამი,
ეს წამი ძილსა და ღვიძილს შუა,
როგორც ორ მტრულ სახელმწიფოს შო-
რის - ედემი (ხარანაული 41:1991).

„ზამთრით ჩალაზე დაბმული ცხენი
იონჯით გარბილებულ გორებზე ფიქ-
რობს“
(ხარანაული 55:1991).

მეც მინდა ქალი,
განს გამდგარი

პურის ძნასავით,
მეც მინდა, ჩემთვის
ფანჯრის ფარდა გადაიწიოს:
„მე აქ ვარ, აქ ვარ,
დედამიწა ამოიბურცა,
რომ ჩემს გულთან ამოგიყვანოს“
(ხარანაული 57:1991).

როგორც ბუნაგში, მცურავები შედიან
სულში
და ქარებს შეაქვთ მთელი ქვეყნის ალიაქო-
თი.
(ხარანაული 57:1991).

კრინტი არ დასძრა,
სიტყვა არ სთქვა,
აიღე ჯოხი
და მიუყვანე
პატრონს უკან
ცრეების ფარა“
(ხარანაული 68:1991)

„ხეიბარი თოჯინა“

პოემის ლირიკული გმირი აკვირდება სამყაროს, გრძნობს ცხოვრებისეულ სირთუ-
ლებს და გზადაგზა იაზრებს არსებობის სხვადასხვა ასპექტს. მართალია, ტექსტში ნა-
თელი ფერების პალიტრა ნაკლებია, მაგრამ სათქმელის სიზუსტე მკითხველს ლირიკუ-
ლი გმირის თანამოაზრედ აქცევს, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი და ნაცნობი სინტაგმე-
ბის უჩვეულო დაკავშირება, სრულიად ახალ ემოციურ წრეს ქმნის, სწორედ ეს გამოარ-
ჩევს ავტორს თავისი თანამოკალმეებისგან.

საყურადღებოა მამუკა წიკლაურის პოეტური ძიებანი. პოეტის უჩვეულო შედარე-
ბები მკითხველთა ემოციებს ამძაფრებს, მისი ლექსები დაცლილია ყალბი გრძნობები-
საგან, პოეტური ნიმუშებში ვლინდება ავტორისეული დამოკიდებულება ლექსის მი-
მართ, კერძოდ, ის არ აბუნდოვანებს ტექსტს ზედმეტი სახეების შემოტანით, შედარება
თუ მეტაფორა ყოველთვის ხელშესახები და მკაფიოა. განვიხილოთ 70-იანი წლებში და-
წერილი ლექსები:

მაია კვიციანი

გავიღვიძე, ისე შემომანთა დღემ,
თითქოს ქათქათა მატკლის ზეწრები
ამიფრიალეს თვალწინ,
ხმასავით მკაფიოა
ტყემლის ყვავილი
ფანჯარაში“ (წიკლაური 1985:112).

„დამწყვდებული ვარ და მხოლოდ ზოგ-
ჯერ
ვუსხლტდები მძინარ დარაჯებს და ცი-
ხის კედლიდან
სიზმარში ვსტები.“
„ღლის საზრუნავი“
(წიკლაური 1985:67).

„გადაიარა მატარებელმა...
და რკინისაგან გარღვეულ ღამეს
ჭრილობა ეწვის.
ასე მგონია, სამარადქამოდ –
შავი არაგვის ხეობასავით
შერჩება ღამეს
ამ მატარებლით გაჭრილი კვალი –
ულმობელი და შეურიგალი...
....დაბმული ქარი ცას შეჭქვითინებს: –
მაღე ჩამოდი,
ნანგრევები წაშალე თოვლით“.
„დასასრული. ჭრილობა“
(წიკლაური 1985:86).

ვერლიბრში „დასასრული. ჭრილობა“ სიყვარულის დასასრულის აღსაწერად პოეტი მატარებლის სახესა და განუკურნებელ, დაუვიწყარ ჭრილობას იყენებს. ლირიკული გმირის მძაფრი განცდები მკითხველის თანაგრძობას იწვევს. მოხმობილი შედარება ახალი და უჩვეულოა, შავი არაგვიც შემთხვევითი არაა – ნაღველი და სევდა სამუდამოდ რჩება, ტკივილის კვალიც ხეობის მსგავსად წარუშლელია. „აჰა/ ჩემს ნანგრევებზეც მხედარი მღერის/ შეწყდა ჩემს ფრთებშიც ქარების სტვენა. / შემოარღვიეს ჩემი მთვარიანი ღამეები /და გაჩეხილი მუხნარიდან დამფრთხალი შველი – / ზეცაახდილი ბავშვობა გარბის.“/„ცხენი“ (წიკლაური 1985:117). განადგურებისა და ტკივილის ამსახველი სურათია, ცხენი სწორედ იმ ადამიანის სიმბოლოა, რომელმაც თავი ვერ დააღწია უბედურებას. „ზეცაახდილი ბავშვობა“ დამფრთხალ შველთანაა შედარებული, რაც ემოციას უფრო აძლიერებს. „ლაგამამოდებული ცხენის სიმარტოვეზე“ მინიშნებით კი ლირიკული გმირი სამუდამოდ ეთხოვება ბავშვობის სიკეთეს და უზრუნველობას, სწორედ ამიტომ ლექსის უკანასკნელი სიტყვები: „შორეულია ჩემი ბავშვობა, შორეული, შორეული, შორეული.../ როგორც არაგვის დაბადების დღე.“ კრავს ლექსის მთლიან სათქმელს და მიგვანიშნებს იმ დიდ უფსკულზე, რაც ბავშვობასა და აწმყოს შორის გაჩენილა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მამუკა წიკლაურის პოეზიაში ხშირად ვხვდებით ტკივილის, სიმარტოვისა და დარდის წინაშე დარჩენილ ადამიანს, რომელიც ბედავს საკუთარი თავის შეცნობას, მის პოეზიაში მუდმივად ჩანს ადამიანის ტკივილი „თითქოს მეც ერთხელ უკვდავების წყალზე გამეზავნეს/ და რომ დავბრუნდი, ჩაქოლილი დამხვდა კარები“ (წიკლაური 1985:121). ვიზიარებთ კრიტიკოს თეიმურაზ დოიაშვილის მო-

ტროპული მეტყველება მეოცე საუკუნის 70-იანი წლების პოეზიაში

საზრებას: „პოეტი მწარე ნაყოფს გვთავაზობს, რომელსაც „ხე ცნობადისა“ იძლევა“; პოეტი, რომელმაც დაკარგა კონტაქტი რეალურ და ოცნებისეულ სამყაროსთან, მოკავშირეს საკუთარ თავში ეძებს. იწყება საკუთარი არსის ანალიზი. მაძიებელ გონებას აქაც მწარე აღმოჩენა ელის – პიროვნების მთლიანობა დარღვეულია, სული გათიშულია ხორცისაგან, ხოლო თითოეულ ცალ-ცალკე – სუბიექტის ცნობიერებისათვის გაუგებარი, უცხო ნიშნებით აღბეჭდილი“ (დოიაშვილი 1985:5).

70-იანი წლებს ასევე ამდიდრებს გივი გეგეჭკორის პოეზია, ავტორი საზოგადოებისთვის თავისი თარგმანებით გახდა ცნობილი, თუმცა ლიტერატურულმა კრიტიკამ მის პოეტურ ორიგინალურ შემოქმედებასაც მიაქცია ყურადღება. გ.გეგეჭკორის ლირიკული კრებულების პირველივე წაკითხვისას მკითხველი აღმოაჩენს, რომ ავტორი ტროპებს შორის შედარებას ანიჭებს უპირატესობას, ის ეძებს მსგავსებას მოვლენებსა თუ საგნებს შორის.

„ და მანქანებში გადასასვლელზე
ცელქი ბიჭივით გადარბის წვიმა... „ღი-
ლის ათი საათი“.

(გეგეჭკორი 1983:106).

„თქვენი სიკვდილით ჩვენი ბავშვობა
ისე იმსხვრევა, ვით პორცელანი...“

„*** კონსტანტინე გამსახურდიას“ (გე-
გეჭკორი 1983:106).

„ხალხმა არ იცის, ვერ გაუგია

საქართველოში

მოსლა სატანის

და ორდობეში ღვივის

თებრონეს

აყვავებული კაბის ატამი.“

„თევდორე“

(გეგეჭკორი 1983: 113).

ლექსში „თევდორე“ მოცემულია ისტორიული ამბის მხატვრული ინტერპრეტაცია, მოცემული მეტაფორა გვაფიქრებს კონტრასტზე, როდესაც ქვეყანას მძიმე პერიოდი უდგას და მის შესახებ ხალხმა არაფერი იცის. პოეტურ სიძლიერეზე მეტყველებს ერთი გამორჩეული ფაქტორი, ავტორი შეუძლება ტროპული მეტყველების ისეთ სახეებს იყენებს რაც ნაცობია, თუმცა ხალის შტრიხით ამდიდრებს და აღამაზებს უკვე არსებულს.

მოცემული პერიოდი სიახლეებისა და ერთგვარი განახლების ეტაპად მიიჩნევა, ამ პერიოდში მოღვაწეობენ სხვა მეტად მნიშვნელოვანი ავტორებიც: გურამ პეტრიაშვილი, ჯარჯი ფხოველი, იზა ორჯონიკიძე და სხვ. მათი შემოქმედება ამდიდრებს მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიას, თუმცა საჭიროა სწორად შევაფასოთ ლიტერატურული პროცესები. მოცემული განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული პოეზიის ერთიანობა, სააზროვნო სივრცე, მიუხედავად ლექსის ფორმის ცლილებისა, რადიკალურად არ შეცვლილა. ღია სტურუამ და ბესიკ ხარანაულმა რამდენადმე განსაზღვრეს თანამედროვე პროცესები, მამუკა წიკლაურისა და გივი გეგეჭკორის მაღალ-

მაია კვირკველია

მხატვრული სახეებიც თვალსაჩინოა, ტროპების მრავალფეროვნება და ახალი სახე-სიმბოლოების შემოტანა აახლებს ლირიკულ მეტყველებას, ამდიდრებს სამყაროს აღქმას და პოეზიაც გარკვეულ საფეხურზე აჰყავს. თუმცა ეს, თუნდაც ძალიან უჩვეულო სახეების შემოსვლა, კონვენციურიდან ვერლიბრზე, როგორც პოეტური გამომსახველობის უმთავრეს ფორმაზე გადასვლა არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ქართული ლექსის ახალ ტრადიციაზე ვისაუბროთ, რადგან ყველა თაობას თავისი სათქმელი და გადმოცემის თავისი ფორმა აქვს, აღნიშნული ნიმუშები კი ქართული მრავალსაუკუნოვანი პოეზიის ერთ-ერთი, უთუოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილია.

Maia Kvirkvelia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tropes in the poetry of the 70s of the twentieth century

Summary

The 70s of 20th century is one of the most important periods related to the poetic generation which, to some extent, determined the main direction of modern poetry, firstly, in terms of poetic form. The poetic works or critiques of Lia Sturua, Besik Kharanauli, Mamuka Tsiklauri, Vakhtang Javakhadze, Guram Petriashvili, Iza Orjonikidze... determine the literary process today. The study of the subject is very actual because of not having a considerable work about the period implying comparative and contrastive methods. It is very difficult to analyze the work of certain authors in order to see the whole picture. Despite that, the reasons of arising and developing of a free verse (vers libre) as a main form of the poetic expression of that period have not been studied and analyzed properly in Georgian scholarly literature.

A figure of speech is a phrase or word having different meanings than its literal meanings. It conveys meaning by identifying or comparing one thing to another, which has connotation or familiar to the audience. That is why it is helpful in creating vivid rhetorical effect. Literary devices are tools used by writers and poets to convey their emotions, feelings, and ideas to the readers. It's important to note that in modern poetry, very few devices are used because the phrases used are direct and simple. Here is the analysis of some literary devices used in this poems. Also there are many types of figures of speech. Here are a few of them with detailed descriptions: Simile - A simile is a figure of speech that makes a comparison, showing similarities between two different things. Unlike a metaphor, a simile draws resemblance with

the help of the words “like” or “as.” Therefore, it is a direct comparison. Metaphor- Metaphor is a figure of speech that makes an implicit, implied, or hidden comparison between two things that are unrelated, but which share some common characteristics. In other words, a resemblance of two contradictory or different objects is made based on a single or some common characteristics.. Figure of speech is not only used to embellish the language, but also cause a moment of excitement when reading. It is used equally in writing as well as in speech. It, in fact, provides emphasis, clarity or freshness to expression. Clarity, however, may sometimes suffer because a figure of speech introduces double meanings such as connotative and denotative meanings. It also strengthens the creative expression and description along with making the language more graphic, pointed and vivid. Review of the selected lyrical samples reveals the author's attitudes toward a multitude of issues; it is such attitudes and their forms of expression that distinguish writers and bestow individuality on them.

The major innovation of our study will be analysis of the subject based not only on the texts of one poet but also comparing and analyzing the works of the main authors of that period. The results of the study will give us the opportunity to emphasize the peculiarities created by the generation of the 70th in terms of the form, the theme, the usage of tropes and the theoretical thinking. We consider that representing the way of arising and developing of a free verse in Georgian literary process will be an interesting innovation, generally, for a scientific field, whereas every literary movement or a form in hands of a reasonable writer always gains some individual, original elements that can become a national characteristic (e.g. General Georgian) of the movement. One of the main verse forms of the modern American or European poetry is a free verse. In addition, it is very common in poetry to analyze the poetic speech. In terms of our project, we will pay attention to this issue. The results of the study will be important for popularization of the subject in Georgian as well as in international scholarly studies.

გამოყენებული ლიტერატურა:

გეგეჭკორი 1983: გეგეჭკორი გ. „ლექსები, პოემები“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“

დოიაშვილი 1983: დოიაშვილი თ. გეგეჭკორი გ. „ლექსები, პოემები“ (წინასიტყვაობა) თბილისი, „საბჭოთა საქართველო“

პეტრიაშვილი 1973: პეტრიაშვილი გ. „პოეტურობა და პოეზია“ კრიტიკა N 3 „მერანი“

სტურუა 1977: სტურუა ლ. „ლექსები, პოემები“, თბილისი, „მერანი“

სულაბერიძე 1996: სულაბერიძე მ. „ლია სტურუას შემოქმედების ზოგიერთი მახატვრული თავისებურება“, თბილისი, „ცისკარი“ N 1-2

ცხადაია 2006: ცხადაია ზ. „ქართული ლექსის განახლებისათვის“, მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიიდან . თბილისი „მერანი“

წიკლაური 1985: წიკლაური მ. „ფრენის ტრაექტორია“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“

ხარანაული 1991: ხარანაული ბ. „ლექსები, პოემები“, თბილისი, „საქართველო“.